

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №14
2019 წლის 7 ოქტომბერი**

დაბა ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 09.12.2019წ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესები“ დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. (ამოღებულია)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.01.2020წ.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ბესიკ ესებუა

დანართი №1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრის და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსების, ასევე ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის წესებს.

2. წინამდებარე წესი არ არეგულირებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილ ობიექტებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში, ბაზრისა და ბაზრობის ტერიტორიაზე მოწყობილ ობიექტში ვაჭრობის წესებს.

3. წინამდებარე წესის შესაბამისად რეგულირებას არ ექვემდებარება ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობა:

ა) თუ ნივთის რეალიზაციისათვის მიწის ნაკვეთის მოწყობა ხდება იმდაგვარად, რომ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე აშენებულ შენობაში (შენობის მხოლოდ შიდა სივრცეში) და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ არ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს;



ბ) ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში განთავსებული ობიექტები;

გ) ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი, ყველა სხვა შენობაში განთავსებული ობიექტი, თუ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ შენობაში (შენობის მხოლოდ შიდა სივრცეში) და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ არ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს;

დ) მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ ან/და შენობა-ნაგებობა, სადაც საკუთარი მოხმარებისთვის ან შემდგომში რეალიზაციისათვის ან/და სხვა პირისათვის მომსახურების გაწევის მიზნით ხდება ნივთის წარმოება-გადამუშავება, თუნდაც აღნიშნულ საქმიანობას თან სდევდეს წარმოების ადგილზე ნივთის რეალიზაცია (საწარმო ობიექტები), მაგრამ არ არსებობს წინამდებარე წესის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები;

ე) მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ ან/და შენობა-ნაგებობა, სადაც საკუთარი მოხმარებისთვის ან შემდგომი რეალიზაციისათვის ან/და სხვა პირისათვის მომსახურების გაწევის მიზნით ხდება ნივთის შენახვა, თუნდაც აღნიშნულ საქმიანობას თან სდევდეს შენახვის ადგილზე ნივთის რეალიზაცია (სასაწყობო ნაგებობები), მაგრამ არ არსებობს წინამდებარე წესის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

4. თუ ნივთის რეალიზაცია ხდება შენობაში განთავსებულ ობიექტში, მათ შორის საწარმო ობიექტში ან სასაწყობო ნაგებობაში და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს, ნივთის რეალიზაცია ითვლება გარე ვაჭრობად.

მუხლი 2. გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის ამოცანები

წინამდებარე წესის ამოცანებია:

- ა) მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვა;
- ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვა;
- დ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გარე ვაჭრობა:

ა.ა) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული ისეთი ობიექტებიდან, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად მიწასთან მყარად არ არის დაკავშირებული და ამავე კოდექსის 150-ე მუხლის შესაბამისად არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს (ჯიხური, მაცივარი, სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა);

ა.ბ) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება;

ა.გ) საზოგადოებრივ სივრცეში ან სხვა ხალხმრავალ ადგილებში, გარდა ბაზრისა და ბაზრობისა,



ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ფიზიკური პირის მიერ უშუალოდ ნივთის ან იმ მოწყობილობა-დანადგარის მექანიკური საშუალებების გამოყენებით ან/და უამისოდ ტარებით/გადაადგილებით, რომელზეც განთავსებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი ნივთი ან მომსახურების გაწევისათვის გამოსაყენებელი ნივთი, თუ ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით პირი თვითონ ახდენს სხვადასხვა ადგილებზე გადაადგილებას და ასეთ გადაადგილებას თან სდევს ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის შეთავაზება;

ა.დ) (ამოღებულია - 02.12.2019, №16).

ა.ე) (ამოღებულია - 02.12.2019, №16).

ა.ვ) (ამოღებულია - 02.12.2019, №16).

ბ) ბაზარი – მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ, რომელიც მთლიანად გამოიყენება მზა პროდუქციის სახით არსებული ნივთის რეალიზაციისათვის, მაგრამ იგი ძირითადად განკუთვნილია სასურსათო პროდუქციის რეალიზაციისათვის და თითოეული პირი ნივთის რეალიზაციას ეწევა როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი) ან/და პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ნივთის რეალიზაციას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან ან/და მოსარგებლესთან იმყოფება შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში;

გ) ბაზრობა – მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ, რომელიც მთლიანად გამოიყენება მზა პროდუქციის სახით ნივთის რეალიზაციისათვის, მაგრამ იგი ძირითადად განკუთვნილი არ არის სასურსათო პროდუქციის რეალიზაციისათვის და თითოეული პირი ნივთის რეალიზაციას ეწევა როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი) ან/და პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ნივთის რეალიზაციას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან ან/და მოსარგებლესთან იმყოფება შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში. ბაზრობა შეიძლება მოეწყოს მხოლოდ ერთი სახეობის ნივთის რეალიზაციისათვის (მაგ. ავტომანქანების ბაზრობა, ტანსაცმლის ბაზრობა და სხვა) ან/და ერთდროულად სხვადასხვა სახის ნივთის სარეალიზაციოდ. თუ ნივთის რეალიზაცია არ ხდება მხოლოდ შენობაში (შენობის მხოლოდ შიდა სივრცეში), ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს და ობიექტი, საიდანაც (რომლიდანაც) ხდება ნივთის რეალიზაცია, ჩანს საზოგადოებრივი სივრციდან;

დ) ნივთი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

ე) ნივთის რეალიზაცია – გაყიდვის ან სხვა სახით გასაღების მიზნით ნივთის შენახვა და ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა;

ვ) (ამოღებულია - 02.12.2019, №16);

ზ) სასურსათო პროდუქცია – ადამიანის საკვებად განკუთვნილი, გადამუშავებული ან გადამუშავებელი ნებისმიერი პროდუქტი, ყველა სახის სასმელი, საღებავი რეზინი და ყველა ნივთიერება, დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულადაა დამატებული სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს;

თ) მზა პროდუქცია – რესურსებისა და საქმიანობის ერთობლიობის (სამრეწველო გადამუშავების) შედეგად მიღებული პროდუქტი;

ი) საზოგადოებრივი სივრცე – ავტომაგისტრალი, გზა, განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, სკვერი, პარკი, ბულვარი, ბაღი, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები;

კ) შენობა – ნაგებობა, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს და მთლიანად შემოსაზღვრულია კედლებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით;

ლ) შენობის შიდა სივრცე – შენობის შემომსაზღვრავ კედლებს ან/და სხვა კონსტრუქციებს შორის,



შენობის გადახურვის ქვეშ არსებული სივრცე;

მ) შენობის გარეთ არსებული სივრცე – სივრცე, რომელიც წინამდებარე წესის მიზნებისათვის არ წარმოადგენს შენობის შიდა სივრცეს.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 09.12.2019წ.

მუხლი 4. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა დასაშვებია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მხოლოდ საამისოდ განსაზღვრულ ადგილებზე.

2. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრას საკუთარი ინიციატივით ან/და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

3. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის მიზნით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეული ან რამოდენიმე ან/და ყველა საზოგადოებრივი სივრცისათვის დაამტკიცოს გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა.

4. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრასთან ერთად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გარე ვაჭრობის თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა ადგილისათვის დაადგინოს იმ ნივთების სახეობა ან/და ზუსტი ჩამონათვალი, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ან/და აკრძალულია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე.

5. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრასთან ერთად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გარე ვაჭრობის თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა ადგილისათვის დაადგინოს იმ კონსტრუქციების სახეობები ან/და მათი არქიტექტურული იერსახე, რომელთა განთავსებაც დასაშვებია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე.

6. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა შეიძლება მოხდეს მუდმივად, მაგრამ არა უმეტეს ორი წლისა ან სეზონურად, მათ შორის, კვირის კონკრეტული დღეებისათვის.

7. თუ გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება სეზონურად, გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს ვადა, რომლითაც ადგილი განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად.

8. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილებად განსაზღვროს ერთი ან რამდენიმე ქუჩა იმდაგვარად, რომ აღნიშნულ ქუჩებში მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს ან/და სხვაგვარად შეიზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

9. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვროს იმდაგვარად, რომ აღნიშნული ტერიტორიის კონკრეტული ადგილის გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრა მოხდეს გარე ვაჭრობის უფლების მიცემაზე უფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ გარე ვაჭრობის უფლების მიცემის საკითხის განხილვისას ან მისგან დამოუკიდებლად.

10. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილები განსაზღვროს იმდაგვარად, რომ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ, სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად დაუკავშირებელ რამდენიმე ადგილზე გარე ვაჭრობის უფლება გაცემას ექვემდებარებოდეს მხოლოდ ერთ ლოტში გაერთიანებით.

11. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები;

ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;



გ) სატრანსპორტო ნაკადი;

დ) საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობა;

ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ვ) საგზაო მოძრაობის წესები;

ზ) ეკოლოგიური მდგომარეობა;

თ) საზოგადოების სხვა ინტერესები.

12. დაუშვებელია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული იქნეს ტროტუარის ტერიტორია ბორდიურიდან (ნაწიბურიდან) 1,5 სანტიმეტრზე ნაკლებ მანძილზე ან/და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთი (ობიექტი) განთავსდეს ბორდიურიდან (ნაწიბურიდან) 1,5 სანტიმეტრზე ნაკლებ მანძილზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

13. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსებამ არ დააბრკოლოს ან სხვაგვარად არ შეზღუდოს მიწის ვაკისის სავალ ნაწილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ან არ შეზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ხილვადობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

14. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ან/და გარე ვაჭრობის უფლების მიცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილები, რომლებზეც გაცემულია გარე ვაჭრობის უფლება, გამოყენებულ იქნეს კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. თუ აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ადგილებს მოიცავს გარე ვაჭრობის უფლება, ასეთი გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

15. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ან/და გარე ვაჭრობის უფლების მიცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს მიიღოს გადაწყვეტილება, ადგილი, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, აღარ განისაზღვროს გარე ვაჭრობის ადგილად. ასეთი გადაწყვეტილება, გარე ვაჭრობის უფლების მიცემის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილში გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

მუხლი 5. გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება

1. გარე ვაჭრობის უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან პირთა გაერთიანებას.

2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე პირს გარე ვაჭრობის უფლებას აძლევს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი (გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი პირს გარე ვაჭრობის უფლებას აძლევს მხოლოდ იმ ადგილზე, რომელიც წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილისათვის, გარდა წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებისათვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიას.

5. განცხადება ერთდროულად შეიძლება წარდგენილ იქნეს გარე ვაჭრობის უფლების რამდენიმე ადგილზე მიცემის მოთხოვნით. განცხადება შედგენილი უნდა იყოს საქართველოს ზოგადი



ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს:

ა) დაინტერესებული პირის სახელს და მისამართს, მათ შორის საფოსტო მისამართს. თუ განცხადებაში საფოსტო მისამართი პირდაპირ არაა მითითებული, ასეთ მისამართად ჩაითვლება განცხადებაში მითითებული მისამართი;

ბ) გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი იმ ადგილის ზუსტ დასახელებას, რომელზეც სურს გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება;

გ) მითითებას, რომ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე, რომელზეც ითხოვს გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებას, უზრუნველყოფს სისუფთავის დაცვას;

დ) მითითებას, რომ სრულად და ჯეროვნად შეასრულებს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილისათვის დაწესებულ მოთხოვნებს;

ე) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც დაინტერესებული პირის აზრით მნიშვნელობა აქვს გარე ვაჭრობის უფლების მოპოვების საკითხის განხილვისას.

6. დაინტერესებული პირი ვალდებულია განცხადებას დაურთოს მისი პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია, წესდება ან წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება (გარე ვაჭრობის უფლების მიცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ) მიიღება ბრძანების სახით განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. გარე ვაჭრობის უფლების მიცემაზე ან/და მიცემაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების (მერის ბრძანების) პროექტს ამზადებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური.

9. გარე ვაჭრობის უფლების მინიჭების თაობაზე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება უნდა ადგენდეს:

ა) გარე ვაჭრობის უფლების ვადას. თუ პირს გარე ვაჭრობის უფლება ეძლევა იმ ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია სეზონური გარე ვაჭრობის ადგილად, გარე ვაჭრობის უფლება არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული ადგილისათვის განსაზღვრულ ვადას;

ბ) (ამოღებულია - 06.01.2020, №5);

გ) (ამოღებულია - 06.01.2020, №5);

დ) (ამოღებულია - 06.01.2020, №5);

ე) (ამოღებულია - 06.01.2020, №5);

ვ) მითითებას, რომ პირი ვალდებულია გარე ვაჭრობა განახორციელოს მხოლოდ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ იმ ადგილზე და იმ საზღვრებში, რომელზეც მიეცა გარე ვაჭრობის უფლება;

ზ) მითითებას გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე დასუფთავების წესების (სისუფთავის) დაცვის ვალდებულებაზე;

თ) მითითებას წყლის და დასუფთავების მოსაკრებლის/საფასურის გადახდის ვალდებულებაზე;

ი) მითითებას გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძვლების თაობაზე;



კ) მითითებას, რომ გარე ვაჭრობის უფლება არ ექვემდებარება სხვა პირებზე რაიმე ფორმით გადაცემას;

ლ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია გარე ვაჭრობის უფლების გადაცემისათვის.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ერთი ადგილის/ლოტის მიმართ გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებაზე განცხადება წარდგენილი აქვს ერთზე მეტ დაინტერესებულ პირს, აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობის უფლება ავტომატურად ენიჭება პირს, რომლის განცხადებაც აღნიშნული მოთხოვნით პირველი დარეგისტრირდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიამში. განცხადება არ ითვლება ამ პუნქტის შესაბამისად წარდგენილად, თუ განცხადება წარდგენილია გარე ვაჭრობის ისეთი ადგილის/ლოტის მიმართ, რომელზეც უკვე გაცემულია გარე ვაჭრობის უფლება, თუნდაც აღნიშნული უფლების გაუქმების თაობაზე დაწყებული იყოს წარმოება, მაგრამ არ არის მიღებული გადაწყვეტილება გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების თაობაზე.

11. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნული ლანდშაფტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლება შეიძლება მისცეს იმ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობის, მათ შორის მართვის უფლებით გადაცემული აქვს სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნული ლანდშაფტის აღნიშნული ტერიტორია, თუ აღნიშნული ტერიტორია წინამდებარე წესის მე-4 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობისათვის.

12. (ამოღებულია - 06.01.2020, №5);

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნული ლანდშაფტის ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულია იმდაგვარად, რომ კონკრეტული ადგილების გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრა ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელსაც სარგებლობის, მათ შორის მართვის უფლებით გადაცემული აქვს სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნული ლანდშაფტის ტერიტორია, კონკრეტული ადგილების გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრა სავალდებულოა შეთანხმებული იყოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერისთან.

14. გარე ვაჭრობის უფლება მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას. შესაბამისად, გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების შემთხვევაში, სხვა პირზე გარე ვაჭრობის უფლების მიცემა ხდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე სხვა პირზე გადაცემად არ ითვლება შემთხვევა, როცა პირი ნივთის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას ახორციელებს მასთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის მეშვეობით. ასეთ დროს გარე ვაჭრობის უფლების მქონე ვალდებულია გარე ვაჭრობის უფლების მიმცემს წარუდგინოს შესაბამისი ხელშეკრულება (გარიგება) ან/და სხვა აქტი, რომელიც ადასტურებს პირის მასთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში ყოფნის ფაქტს.

16. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 09.12.2019წ.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.01.2020წ.

მუხლი 6. გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება, როცა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ნივთის რეალიზაცი ის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის განთავსება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება საზოგადოებრივ სივრცეში



1. თუ ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ხდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება, ასევე, თუ ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ხდება საზოგადოებრივი ტრასპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილიდან ან/და მასზე განთავსებული ნაგებობიდან, სავალდებულოა პირს ჰქონდეს გარე ვაჭრობის უფლება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს გარე ვაჭრობის უფლებას აძლევს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერი, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის უშუალოდ მომიჯნავე საზოგადოებრივი სივრცე, ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილი წინამდებარე წესის მე-4 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ პირს, რომლის საკუთრებაში ან/და სარგებლობაშიც იმყოფება უშუალოდ საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ არსებული ის მიწის ნაკვეთი ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საიდანაც ხდება ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ან რომლის სარგებლობაშიც იმყოფება საზოგადოებრივი ტრასპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილი ან/და მასზე განთავსებული ნაგებობა. თუ მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე და მოსარგებლე სხვადასხვა პირია, ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლება ენიჭება პირს, რომლის სარგებლობაში და შესაბამისად პირდაპირ მფლობელობაშიც იმყოფება შენობა-ნაგებობა, საიდანაც ხდება ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა, ხოლო გარე ვაჭრობის უფლება გაიცემა შენობა-ნაგებობის სარგებლობის ვადით, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ვადისა.

4. (ამოღებულია - 06.01.2020, №5).

5. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების მიცემის მოთხოვნისას დაინტერესებული პირი, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიას დამატებით წარუდგენს შესაბამისად მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საკუთრების ან სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს.

6. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.01.2020წ.

მუხლი 7. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება

1. პირს, რომელსაც წინამდებარე წესის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად მიეცემა გარე ვაჭრობის უფლება, გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე უფლება აქვს განათავსოს მხოლოდ I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობა ან/და განათავსოს ისეთი ნივთი, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მიხედვით არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობას და შესაბამისად არ მიეკუთვნება რომელიმე კლასს (მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა), თუმცა აღნიშნული ნივთები განკუთვნილია უშუალოდ გარე ვაჭრობისათვის.

2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ითვლება დროებით შენობა-ნაგებობად.

3. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა ხდება მშენებლობის ნებართვის გარეშე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და



სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

4. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისას, პირი ვალდებულია განცხადებას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა დამატებით დაურთოს გარე ვაჭრობის უფლების მიცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და განმცხადებლის (გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის) პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თუ გარე ვაჭრობის უფლების მქონე იურიდიული პირია, წესდება ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

5. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე ისეთი ნივთის განთავსება, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მიხედვით არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობას და შესაბამისად არ მიეკუთვნება რომელიმე კლასს (მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა), თუმცა აღნიშნული ნივთები განკუთვნილია უშუალოდ გარე ვაჭრობისათვის, დასაშვებია ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის საფუძველზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის განთავსების მიზნით გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერს. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თუ გარე ვაჭრობის უფლების მქონე იურიდიული პირია, წესდება ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) გარე ვაჭრობის უფლების მიცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის ესკიზური პროექტი და მისი განთავსების ესკიზური პროექტი შესაბამისი განშლებით.

7. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია (უფლებამოსილი სამსახური - ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური) ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ სრულყოფილ დოკუმენტებს იხილავს და ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას ან ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში წარდგენილი ესკიზური პროექტი ითვლება შეთანხმებულად. შესაბამისად, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიას (უფლებამოსილი სამსახური - ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს) უფლება არ აქვს დაინტერესებულ პირს უარი უთხრას გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთისა და მისი განთავსების ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განმცხადებელს წინამდებარე წესის შესაბამისად მიცემული არ აქვს გარე ვაჭრობის უფლება.

9. გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთისა და მისი განთავსების ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე ან/და შეთანხმებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ორგანოს (უფლებამოსილი სამსახური - ინფრასტრუქტურის ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის) მიერ მიიღება წერილის სახით, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და



აღნიშნული აღარ საჭიროებს დამატებით წერილობითი გადაწყვეტილების მიღებას.

10. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 09.12.2019წ.

მუხლი 8. (ამოღებულია)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.01.2020წ.

მუხლი 9. (ამოღებულია)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.01.2020წ.

მუხლი 10. გარე ვაჭრობის უფლების გაუქმება

1. გარე ვაჭრობის უფლება შეიძლება გაუქმდეს გარე ვაჭრობის უფლების გამცემისა და გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

2. გარე ვაჭრობის უფლების გამცემი ორგანოს (პირის) მხრიდან ცალმხრივად გაუქმების საფუძველია:

ა) გაფრთხილების მიუხედავად, დაწესებულ ვადაში გარე ვაჭრობის უფლების მიმნიჭებელი აქტით ან წინამდებარე წესით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებების განმეორებით დარღვევა ან/და დარღვევის გამოუსწორებლობა;

ბ) (ამოღებულია - 06.01.2020, №5);

გ) გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;

დ) გარე ვაჭრობის უფლების მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე სხვა პირზე გადაცემა;

ე) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგილს, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, აღარ განსაზღვრავს გარე ვაჭრობის ადგილად;

ვ) ადგილი, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის.

3. გარე ვაჭრობის უფლება, გარე ვაჭრობის უფლების გამცემის ან/და გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ ცალმხრივად შეიძლება გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველითაც, რომლებიც წინამდებარე წესით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

4. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების შემთხვევაში, გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ გარე ვაჭრობის უფლების გაუქმება გარე ვაჭრობის უფლების გამცემი ორგანოს (პირის) მიერ მოხდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ან/და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით ან/და გარე ვაჭრობის უფლების გაუქმებას საფუძველად არ უდევს გარე ვაჭრობის უფლების გამცემის ბრალეული ქმედება.

5. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირი ვალდებულია დაუყონებლივ წაიღოს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების გამცემი უფლებამოსილია თვითონ მოახდინოს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილის გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ განთავსებული ნივთებისაგან გათავისუფლება, რა დროსაც გარე ვაჭრობის უფლების გამცემს არ აკისრია აღნიშნული ნივთების დაცვისა და შენახვის ვალდებულება.



6. გარე ვაჭრობის უფლების გაუქმებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 6 იანვრის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.01.2020წ.

მუხლი 11. ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის ძირითადი პირობები

1. წინამდებარე მუხლის შესაბამისად სავალდებულოა მოეწყოს ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორია, თუ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმიდან ან/და არასტაციონალური კონსტრუქციიდან ან/და მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში იმდაგვარად, რომ ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სავალდებულოა ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორია მოეწყოს იმდაგვარად, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმა ან/და არასტაციონალური კონსტრუქცია ან/და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს, არ ჩანდეს საზოგადოებრივი სივრციდან.

3. წინამდებარე წესის მიზნებისათვის მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმა ან/და არასტაციონალური კონსტრუქცია ან/და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს, საზოგადოებრივი სივრციდან არ ჩანს, თუ ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიასა და საზოგადოებრივ სივრცეს შორის უკვე არსებული შენობა-ნაგებობა ან ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ასევე მიწასთან მყარად დაკავშირებული სხვა ობიექტი (მათ შორის ღობე) საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან მთლიანად ფარავს მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სტაციონალურ არქიტექტურულ ფორმებს ან/და არასტაციონალურ კონსტრუქციებს ან/და მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილ ობიექტს (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

4. აკრძალულია ბაზრის ან/და ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყენებით გარე ვაჭრობის განხორციელება.

5. ბაზარი ან/და ბაზრობა უნდა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე დარჩეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკმარისი ადგილები.

6. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებისას და მშენებლობის ნებართვის გაცემისას დაიცვას ამ მუხლის მოთხოვნები.

7. ამ მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება ბაზრისა და ბაზრობების მიმართ, როცა ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების (დახლი, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსება ხდება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზური პროექტი) შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების (დახლი, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსების სქემას, წყობას და არქიტექტურულ იერსახეს.

მუხლი 12. საგამონაკლისო რეგულირება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია უქმე დღეებისათვის, ასევე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დღეებისათვის განსაზღვროს ადგილები, სადაც გარე ვაჭრობა დასაშვებია წინამდებარე წესის მე-4 – მე-10 მუხლების დაუცველად, ასევე განსაზღვროს აღნიშნულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსების პირობები.



მუხლი 13. წესის დარღვევა

1. წინამდებარე წესის დარღვევას წარმოადგენს გარე ვაჭრობის წესის დარღვევა და ბაზრისა ან/და ბაზრობის მოწყობის წესის დარღვევა.

2. გარე ვაჭრობის წესის დარღვევას წარმოადგენს:

ა) გარე ვაჭრობა შესაბამისი უფლების გარეშე;

ბ) გარე ვაჭრობა, გარე ვაჭრობის უფლების მიცემის (მიმნიჭებელი) აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით.

3. ბაზრისა და ბაზრობის მოწყობის წესის დარღვევას წარმოადგენს:

ა) ბაზრისა და ბაზრობის მოწყობა წინამდებარე წესის დარღვევით;

ბ) წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ბაზრის ან/და ბაზრობის მოყვანის თაობაზე თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნის შეუსრულებლობა.

დანართი N2

(ამოღებულია)

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 09.12.2019წ.

